# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (9.792)

5 – 12 აგვისტო 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# „ელიაობა“ და „დედოფლისწყაროობა“

## ერი და ბერი ერთად


გვ.8






## თავგანწირვის ტაძარი


გვ.6





## აგვისტოს ომის ქრონიკა




გვ.3-5


## სპორტული კალეიდოსკოპი






გვ.4


## GEM FEST-ის მონაწილე 22 წლის გოგონა გარდაიცვალა, საავადმყოფოში გადაყვანილია რამდენიმე ახალგაზრდა

ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში ანაკლიაში, მუსიკალურ ფესტივალ GEM FEST-ის კიდევ რამდენიმე მონაწილე გადაიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, პაციენტებს დაუზუსტებელი სუბსტანციით მოწამვლის ნიშნები აღენიშნებათ.

საავადმყოფოში მოთავსებულთაგან ერთ-ერთი ახალგაზრდა მამაკაცის მდგომარეობა მძიმეა.

დღესვე, მსგავსი სიმპტომებით ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში 22 წლის გოგონა გარდაიცვალა, რომელიც ასევე GEM FEST-ის მონაწილე იყო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

C M Y K

# პრემიერ-მინისტრი აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს მკაფიო და ხმამაღალი მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი პირადად აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსს და აშშ-ის ადმინისტრაციას ასეთი ხმამაღალი და მკაფიო მხარდაჭერისთვის დიდ მადლობას უხდის, - აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა.

მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რამდენად მნიშვნელოვანია, როდესაც პირველი, მთავარი სტრატეგიული პარტნიორის - აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ასეთ მკაფიო მხარდაჭერას უცხადებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და საგარეო პრიორიტეტულ მისწრაფებებს.

„კიდევ ერთხელ მინდა, ქართველი ხალხისა და რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანის სახელით მადლობა გადავუხადო პირადად ბატონ ვიცე-პრეზიდენტს და ამერიკის ადმინისტრაციას ასეთი ხმამაღალი მხარდაჭერისთვის. მინდა, კიდევ ერთხელ კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელისუფლების მოსვლის დღიდან ჩვენს მიერ გამოცხადებული სამი მთავარი პრიორიტეტი - უსაფრთხოება და სტაბილურობა; რა თქმა უნდა, დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა; ჩვენი ეკონომიკური განვითარება, რომელმაც საბოლოო ჯამში უნდა მოიტანოს თითოეული მოქალაქისთვის კეთილდღეობა, არის ასე პოზიტიურად შეფასებული. ეს პირველ რიგში არის კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა და კიდევ უფრო მეტი შთაგონება იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა მივიყვანოთ გამთლიანებამდე, რა თქმა უნდა მშვიდობიანად და კიდევ უფრო თანმიმდევრულად განვახორციელოთ ჩვენი პრიორიტეტები, რათა ჩვენი ქვეყნისთვის მოვიტანოთ კეთილდღეობა”, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის შეფასებით, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მიერ ასეთი მაღალი ტრიბუნიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხმამაღალი, მკაფიო მხარდაჭერა.

„რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს ასევე არის დიდი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მაქსიმალურად მეტი ძალისხმევა დავხარჯოთ ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისთვის და იმ პრობლემების მშვიდობიანად მოგვარებისთვის, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანას ასე აწუხებს. ბატონმა ვიცე-პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამერიკისთვის საინტერესო ხდება საქართველოს მეშვეობით ჩვენს რეგიონში ეკონომიკური დამკვიდრება. სწორედ ამ ვიზიტის დროს მოეწერა ხელი ძალიან მსხვილ ამერიკულ კომპანია SSA Marine-სა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს” შორის მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ეს კომპანია შემოდის საქართველოში არა მხოლოდ ახალი პორტის ოპერატორად, არამედ ასევე ინვესტორად. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი ძალისხმევა ამ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება მეტი დასავლური მსხვილი კომპანია იყოს წარმოდგენილი საქართველოში”, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ქალაქ მიუნხენში საქართველოს საკონსულო წარმომადგენელი ეყოლება

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორ მიწაზე - ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს კონსული მოემსახურება.

როგორც ”ინტერპრესნიუსს” საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საკონსულო წარმომადგენელი ქალაქ მიუნხენში, საქართველოს საპატიო კონსულის ხელმძღვანელობით მოქმედ საკონსულო დაწესებულებაში განთავსდება და ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში მცხოვრებ თანამოქალაქეებს გაუწევს საკონსულო მომსახურებას.

”აღნიშნული გადაწყვეტილება საგარეო უწყებამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რაოდენობიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღო”, - აცხადებენ სამინისტროში.

ახლადდანიშნული კონსული, ზაქარია მეგრელიშვილი საქართველოს ელჩმა ლადო ჭანტურიამ პირადად გააცნო საქართველოს საპატიო კონსულს კლაუს ჰიპსა და მიუნხენში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ლერი დათაშვილს.

# ავღანეთში დაღუპული ქართველის ახლობლები - ოქტომბერში უნდა დაბრუნებულიყო, წინა დღეს ესაუბრა დედას და უთხრა, რომ საშიში არაფერი იყო

ავღანეთში დაღუპულ 25 წლის ახალგაზრდას სამშობლოში კვირას გადმოასვენებენ. მდინარი ბებიაშვილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტოთუბნის მკვიდრია.

როგორც ოჯახის ახლობლები აცხადებენ, ბებიაშვილი ავღანეთში მისიით მესამედ იმყოფებოდა.

„უკვე მესამედ იმყოფებოდა ავღანეთში. ოქტომბერში უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში. წინა დღეს ესაუბრა დედას და უთხრა, რომ საშიში არაფერი იყო. საკუთარი ოჯახი არ ჰყავს. აპრილში წავიდა და ოქტომბერში მშვიდობით დაბრუნებას ელოდებოდა. ძალიან ცუდ დღეში ვართ”, - აცხადებენ გარდაცვლილის ახლობლები.

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, ბაგრამის საავიაციო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთობლივი მოტორიზებული პატრულირებისას თავდასხმა განხორციელდა. შედეგად, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ქვეითი ბატალიონის უმცროსი სერჟანტი მდინარი ბებიაშვილი დაიღუპა.

მომხდარი თავდასხმისას ასევე დაშავდა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამი სამხედრო მოსამსახურე. მათგან ერთის, კაპიტან მიხეილ ამირანის ძე გვირჯიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, უფროსი ლეიტენანტ გიგა დავითის ძე ხახუტაშვილის და კაპრალ გეგა ელვარდის ძე ხარშილაძის მდგომარეობა კი, დამაკმაყოფილებელია. სამივე მათგანი ბაგრამის საავიაციო ბაზის ჰოსპიტალშია მოთავსებული და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა უტარდებათ.

# საქართველოში პირველად, ზაზა ფაჩულია NBA-ს ჩემპიონთა თასს ჩამოიტანს




საქართველოში პირველად, ზაზა ფაჩულია NBA-ს ჩემპიონთა თასს ჩამოიტანს. როგორც ”ინტერპრესნიუსს” ”თიბისი ბანკიდან” აცნობეს, ზაზა ფაჩულია პირველი ქართველი კალათბურთელია, რომელიც წელს NBA -ს ჩემპიონი გახდა.

მისმა გუნდმა Golden State Warriors ჩემპიონატის ფინალური სერიის მეხუთე მატჩში ჩლეველანდ ჩავალიერი ანგარიშით 129:120 დაამარცხა, სერია 4:1 მოიგო და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ბანკის პრესსამსახურის ცნობით, 6 აგვისტოს ზაზა ფაჩულია NBA-ს ჩემპიონთა თასს, ტრადიციული ტროფი ტურის ფარგლებში, საქართველოში ჩამოიტანს და აეროპორტში გულშემატკივრებს შეხვდება.

ტურის განმავლობაში გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ ქართველი კალათბურთელი და ცნობილი ლარი ობრაიენის სახელობის თასი ნახონ და მასთან ფოტოები გადაიღონ.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ზაზა ფაჩულიას ერთ-ერთი მასპინძელი თიბისი ბანკია. ქართველი კალათბურთელი პროექტების „სტარტაპერის“ და „ბიზნესდაჯილდოების“ მონაწილეებს შეხვდება და მათ საკუთარი წარმატების ისტორიას გაუზიარებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ჩამოსვლა და თასის ჩამოტანა ზაზა ფაჩულიამ ჩემპიონობის მოპოვებისთანავე გადაწყვიტა. მან თამაშს შემდეგ გულშემატკივარს Facebook live-ის მეშვეობით მიმართა და თავისი ემოციები გამოხატა:

„სიტყვები არ მყოფნის, ეს ჩემთვის დაუვიწყარი დღეა. მადლობელი ვარ, რომ მომეცა საშუალება, ჩემი ქვეყანა წარმედგინა. გილოცავთ ყველას, დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდში მედექით. რთული სეზონი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ქართველი ვარ, ამას ყოველთვის ვიტყვი. საქართველოში თასი და ბეჭედი ჩამოვა!“, - განაცხადა ფაჩულიამ

# საქართველოში შესაძლოა ვაქცინაცია სავალდებულო გახდეს

საქართველოში, შესაძლოა, ვაქცინაცია სავალდებულო გახდეს. როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, პაატა იმნაძემ განაცხადა, შესაბამისი ინიციატივის განხორციელებას მხარს უჭერს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, ჯანდაცვის სამინისტრო და სამედიცინო საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი. მოწინააღმდეგეთა შორის კი, იურისტები არიან, რომლებიც მათ მოსაზრებას ადამიანის უფლებების დაცვის ფაქტორით ხსნიან.

პაატა იმნაძე განმარტავს, რომ იმუნიზაციის საკითხს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში კანონმდებლობა აწესრიგებს.

მისი ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში აუცრელი ბავშვი განათლებას ვერ მიიღებს. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კი, აუცრელი ბავშვის მშობელი დაახლოებით 2500 ევროთი ჯარიმდება.

„როგორც მსოფლიოს ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოშიც უნდა იყოს საკანონმდებლო მექანიზმი. მშობელს თუ არ ესმის, რომ მისი შვილი უნდა იყოს აცრილი, საზოგადოებამ თავი უნდა დაიცვას ასეთი მშობლისგან. კონფლიქტი ხდება ერთი მხრივ, ადამიანის უფლებასა და მეორე მხრივ, საზოგადოების უფლებას შორის. ასეთ შემთხვევაში, ყველა ქვეყანაში, მათ შორის ძალიან დემოკრატიულშიც, უპირატესობა საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ენიჭება. ის, რომ ბავშვი არის აცრილი, ეს არის არა მარტო ამ ბავშვის ინდივიდუალური დაცვა, არამედ, უმრავლეს შემთხვევაში, ეს არის საზოგადოების დაცვაც ინფექციებისაგან”, - განაცხადა პაატა იმნაძემ.

მისივე განმარტებით, საუბარი იქნება აცრებზე, რომლებიც იმუნიზაციის ეროვნული კალენდრით არის გათვალისწინებული და რომელსაც დღემდე მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს.

პაატა იმნაძე ვერ აკონკრეტებს როდიდან შეიძლება საქართველოში ვაქცინაცია სავალდებულო გახდეს. მისი თქმით, ამ ეტაპზე ევროპული კანონმდებლობის გაცნობა მიმდინარეობს.

# გადამეტებული ხმაურის გამო 15 აგვისტოდან ჯარიმები ამოქმედდება

დღის და ღამის საათებში გადამეტებული ხმაურისათვის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ჯარიმები დაწესდა. პარლამენტის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები 2017 წლის 15 აგვისტოდან ამოქმედდება.

ცვლილებების თანახმად, დღის ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ასევე საზოგადოებრივი ან საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება პირველ შემთხვევაში გაფრთხილებას გამოიწვევს, 1 წლის მანძილზე მეორედ ჩადენის შემთხვევაში ფიზიკური პირი 150 ლარით, ხოლო იურიდიული პირი 500 ლარით დაჯარიმდება.

თუ იგივე ქმედება მესამედ ან მეტჯერ იქნა ჩადენილი, ჯარიმის ოდენობა ფიზიკური პირისთვის 300 ლარამდე, იურიდიული პირისთვის კი 1000 ლარამდე გაიზრდება.

აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები, რომლის გადამეტებაც იკრძალება, საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე უნდა დაამტკიცოს.

ამასთან, ეს აკრძალვები არ გავრცელდება ტრანსპორტით (მათ შორის, ავტომანქანებით) გამოწვეულ ხმაურზე, ასევე მასობრივ შეკრებებსა და მანიფესტაციებზე, დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებულ დასვენების, კულტურისა და სპორტის საჯარო ღონისძიებებზე.

ღამის საათებში, ანუ 8:00 საათიდან 23:00 საათამდე, იკრძალება პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება. ამ წესის დამრღვევი ფიზიკური პირი პირველ შემთხვევაში 150 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი - 500 ლარით. 1 წლის განმავლობაში იგივე ქმედების მეორედ ან ყოველი მომდევნო ჩადენის გამო ჯარიმების ოდენობა გაორმაგდება.

პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება არ დაისჯება ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში - 31 დეკემბრის 21.00 საათიდან 2 იანვრის 23.00 საათამდე, 13 იანვრის 21.00 საათიდან 14 იანვრის 23.00 საათამდე; ასევე საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნის დღეებში - 9 აპრილს და 26 მაისს.

აღნიშნულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენას და სახდელის დადებას 2018 წლის 1 აპრილამდე მოახდენენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, ხოლო 2018 წლის 1 აპრილიდან - ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები ან მათგან უფლებამოსილი იურიდიული და ფიზიკური პირები.

# აგვისტოს ომის ქრონიკა



რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან ცხრა წელი გავიდა. 2008 წლის 7 აგვისტოს ომი ცხინვალის რეგიონში ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტთა შორის დაიწყო. ომში რუსეთი ოფიციალურად 8 აგვისტოს ჩაერთო, რომელმაც რეგიონში საკუთარი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა ლეგალურად შეიყვანა. რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საჰაერო დაბომბვაც დაიწყო. რუსებისა და ოსების გაერთიანებული სახედრო შენაერთები ქართველებს ცხინვალში სამი დღე ებრძოდნენ. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შეიჭრნენ. ხუთი დღის შემდეგ ქართულმა ჯარებმა ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონი დატოვეს. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში – 16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უკვე გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა საქართველოს დასახლებული პუნქტების დაბომბვები და რუსი ჯარისკავების თვითნებობები არ შეწყვეტილა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა საკუთარი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევში. 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო.25 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების ინფორმაციით აგვისტოს ომის დროს დაღუპულია: შეიარაღებული ძალების 168 სამხედრო მოსამსახურე; პოლიციის 16 თანამშრომელი; 188 მშვიდობიანი მოქალაქე.

**1–აგვისტო** -გამთენიისას ცხინვალის რეგიონში ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე, ინტენსიური სროლები დაიწყო საქართველოს თავდაცვის ქვედანაყოფებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რის შედეგადაც ექვსი დაიღუპა, ხოლო 21 ადამიანი დაიჭრა.

**2 აგვისტოს** ოსი სეპარატისტები ქართულ სოფლებს მთელი ღამე ცხრილავენ. არის მსხვერპლი. საქართველოს ხელისუფლება ოს სეპარატისტებს ცეცხლის დაუყონებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებს. სეპარატისტები ცხინვალიდან ჩრდილოეთ ოსეთიში ქალებისა და ბავშვების ევაკუაციას იწყებენ.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელს მარად კულახმეტოვს ხვდება. იაკობაშვილი ოს სეპარატისტებთან შეხვედრას ითხოვს, მაგრამ უარს იღებს.

**3 აგვისტო**– რუსეთის მთავრობამ საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთში გახიზნულიყო. ამავე დღეს რეგიონს ლტოლვილებით დატვირთული 20 ავტობუსი ტოვებს.

საქართველო მოლაპარაკებებისათვის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მზად არის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მფარველი ანგელოზის დღეს ულოცავს. მისალოცი ბარათი მის უწმინდესობასთან საქართველოში რუსეთის ელჩს ვიაჩესლავ კოვალენკოს მიაქვს. ვლადიკავკაზში ე. წ. სამხრეთ ოსეთის მხარდამჭერი მიტინგი იმართება. ამ დღეს აფხაზი სეპარატისტები იღებენ გადაწყვეტილებას სექტემბრიდან გალში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ. სერგეი ბაღაფში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს და ენგურის ხიდს კეტავს.

**4 აგვისტო** – რუსეთის 58-ე არმიის ხუთი ბატალიონი ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს როკის გვირაბის სიახლოვეს განახლდა. აფხაზები გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ. შეხვედრა 15 აგვისტოს ბერლინში უნდა გამართულიყო. თავის მხრივ, ოს სეპარატისტთა ლიდერი, კოკოითი აცხადებს, რომ იგი "რუსეთის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებას არ დაიწყებს". სეპარატისტთა ე.წ. შს მინისტრი მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ ცხინვალი ცეცხლის გახსნისთვის მზადაა. საქართველოს ხელისუფლების პოზიციას სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ახმოვანებს: "საქართველო საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას არ აპირებს" და ოსურ მხარეს კვლავ მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს. შეთავაზება კვლავ უპასუხოდ რჩება. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი რუსული ბატალიონი საგანგებო მდგომარეობაზე გადადის. კოკოითი ცხინვალიდან აცხადებს, რომ საქართველოს გასანადგურებლად მზადაა.

**5 აგვისტო** – ოსმა სეპარატისტებმა ქართული სოფლების დაცხრილვა განაახლეს. 5 აგვისტოს დილითვე აფხაზი სეპარატისტები მეორე ფრონტის გახსნაზე იწყებენ საუბარს. რუსეთის სამხრეთ ნაწილიდან ცხინვალისკენ მოხალისეთა ნაკადი მიედინება. სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროები საქართველოსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოუწოდებენ. განცხადებას ავრცელებს ეუთოც, რომელიც ვითარების დაძაბვაში სეპარატისტებს ადანაშაულებს.ინფორმაცია - "თემურ იაკობაშვილი 7 აგვისტოს ცხინვალში ჩავა და ბორის ჩოჩიევს შეხვდება".

**6 აგვისტო** – ქართული სოფლები კვლავ იცხრილება. საქართველოს განცხადებით, ქართულმა მხარემ ჯავშანტრანსპორტიორი დაკარგა,სამი ქართველი სამშვიდობო ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე ღამეს სროლებმა ოთხი ადამიანი იმსხვერპლა, რის გამოც ქართულმა მხარემ სროლები განაახლა.ცხინვალში ჩადის დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დენის კიფი.ცხივნალის მცხოვრებლები გახიზვნას იწყებენ, ხოლო ქართულმა მხარემ ტანკები, არტილერია და ჯარები რეგიონის საზღვართან მიიყვანა. სოფლები – ნული და ავნევი – ოსი სეპარატისტების შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაბომბეს. არის მსხვერპლი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო თათბირი იმართება. მოსკოვი იური პოპოვს 6 აგვისტოს ღამით თბილისში "საქმის ვითარებაში გასარკვევად აგზავნის". პოპოვი აცხადებს, რომ იაკობაშვილისა და ჩოჩიევის შეხვედრა რუსული მხარის ხელშეწყობით გაიმართება. ამავე დროს, პოპოვი აცხადებს, რომ "ცხინვალის რეგიონში მოვლენათა ძალისმიერი გზით განვითარების შემთხვევაში რუსეთი განზე ვერ დარჩება". ოსი სეპარატისტები 7 აგვისტოს ცხინვალში დაგეგმილი შეხვედრის ვადას სწევენ და შეხვედრის ჩატარებას ქართულ მხარეს 9 აგვისტოს სთავაზობენ.



**7 აგვისტო** – თავდასხმებმა ქართულ სოფლებზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სეპარატისტები განუწყვეტლად ბომბავენ ქართულ სოფლებს ერედვის, ფრისს, ავნევს, დვანსა და ნულს, ფრონეს ხეობას. ღამით გახსნილი ცეცხლის საპასუხოდ ქართულ მხარეს ცეცხლი არ გაუხსნია. თუმცა მას შემდეგ რაც სეპარატისტებმა ცეცხლი მსხვილკალიბრიანი – 12-მილიმეტრიანი ქვემეხიდან გახსნეს, ცეცხლი ქართულმა მხარემაც გახსნა. ქართული მხარე აცხადებს, რომ მას „არა აქვს დაგეგმილი კონფლიქტის ზონაში საგანგებო ზომების მიღება და დიალოგისათვის მზად არის ". საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო განცხადებით გამოდის - "ქართული მხარე მაქსიმალური თავშეკავების გამოჩენისათვის მზადაა". საქართველოს საგარეო უწყება მოუწოდებს რუსეთს გამოიყენოს თავისი ზეგავლენა სეპარატისტებზე და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა აღკვეთოს. ბაღაფში ე.წ. უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომას იწვევს. სხდომა დახურულია. იური პოპოვმა და თემურ იაკობაშვილმა ცხინვალში შეხვედრის გამართვის შესახებ შეთანხმება ვერ შეძლეს. იაკობაშვილი კონფლიქტის ზონაში მიემგზავრება. კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა იური პოპოვიც. ოსი სეპარატისტების მიერ ქართული საგუშაგოებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცხრილვა გრძელდება. გამუდმებით იცხრილება პატარა ლიახვის ხეობა. სეპარატისტებმა სარაბუკის სიმაღლის დაკავება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. იაკობაშვილი მარატ კულახმეტოვს, ცხინვალში სამშვიდობოთა შტაბში შეხვდა და თბილისში დაბრუნდა. იაკობაშვილისა და კულახმეტოვის შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება. 7 აგვისტოსთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ათი ჯარისკაცი დაიღუპა. პრეზიდენტის ბრძანებით ქართულმა მხარემ ცალმხრივი სროლის შეწყვეტა გამოაცხადა.

„კონფლიქტის ზონაში ამჟამად სნაიპერული ომი მიმდინარეობს სოფლის მცხოვრებთა წინააღმდეგ და ამ მომენტში ინტენსიური სროლები მოდის არტილერიიდან, ტანკებიდან და ხელსატყორცნი არტილერიული სისტემებიდან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში არალეგალურადა შემოტანილი", – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივი 19:10 საათზე პირდაპირ სატელევიზიო გამოსვლაში. სააკაშვილმა მოუწოდა მხარეებს მოლაპარაკებებისკენ „ნებისმიერ ფორმატში" და პირობა სამხრეთ ოსეთის სრულ ავტონომიაზე ძალაში დატოვა, ასევე საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა სეპარატისებისთვის, ხოლო საერთაშორისო თანამეგორბობას მოუწოდა მხარეთა შორის მოლაპარაკებებისთვის შუამდგომლობა გაეწია.სააკაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებისათვის მიმართავს და ძალადობის ესკალაციის შეჩერებასა და მოლაპარაკებების წარმოებაში დახმარებას სთხოვს. სააკაშვილმა პირდაპირი ეთერით რუსეთის ფედერაციას კიდევ ერთხელ შესთავაზა შუამავლის როლი კონფლიქტების მოგვარების საკითხში. ოსურმა მხარემ ცეცხლი შეწყვიტა.იური პოპოვი აცხადებს, რომ 8 აგვიტოს თემურ იაკობაშვილისა და ბორის ჩოჩიევის შეხვედრა გაიმართება. მარატ კულახმეტოვი აცხადებს, რომ "თბილისი და ცხინვალი ორმხრივ შეხვედრამდე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმდნენ". სააკაშვილი ცხინვალში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საზღვარგარეთის ქვეყნების ლიდერებთან სატელეფონო დიალოგს იწყებს. საღამოს ოსურმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაარღვია. შეტევა დაიწყო სოფელ თამარაშენზე. არის მსხვერპლი. 23:30 საათზე ქართულმა მხარემ საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რომლის მიზანი სამშვიდობო ჯარების სარდალ ყურაშვილის განცხადებით, რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის" დამყარება იყო. ქართული მხარის საბრძოლო მოქდებებების დაწყებამდე რუსეთის 58-ე არმია როკის გვირაბით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოვიდა.

**8 აგვისტო** – ოსური მხრიდან ცეცხლი არ წყდება. ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას. არის მსხვერპლი.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, დაგმო საქართველოს „აგრესიული ქმედებები" და თქვა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა. 09:30 საათზე პრეზიდენტმა მედვედევმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, კონფლიქტის შესახებ რუსეთის შესაძლო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად.როკის გვირაბის გავლით შემოსული ასობით შეიარაღებული პირი და სამხედრო ტექნიკა საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. საქართველოს მთავრობა მოუწოდებს სეპარატისტებს შეწყვიტონ შეიარაღებული მოქმედებები. 11:40 საათზე სააკაშვილის ბრძანებით ქართული სარეზერვო ჯარების მობილიზაცია გამოცხადა. საქართველოს მთავრობა: "შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თავდასხმის აღსაკვეთად, საქართველოს ხელისუფლება იძულებულია ადეკვატური ზომები მიიღოს". ქართულმა ქვედანაყოფებმა ორი სოფელი მუგუთი, დიდმუხა, დმენისი დაიკავეს და ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან. პირველი განცხადება ვაშინგტონიდან: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გონსალო გალეგოსი აცხადებს, რომ ვაშინგტონი მოუწოდებს რუსეთს "გავლენა მოახდინოს სეპარატისტებზე რათა სროლები შეწყდეს". ინტენსიური ბრძოლები სოფელ ტყვიავში მიმდინარეობს. ქართული მხარე მზად არის მოლაპარაკებათა მაგიდას კვლავ დაუბრუნდეს. საქართველოს სახედრო შენაერთები კონფლიქტის ზონის რვა ქართულ სოფელს – დმენისს, მუგუთს, დიდმუხას, სარაბუკს, ზემო ნიქოზს, ატოცსა და ქვემო და ზემო ოქონას სრულად აკონტოლებენ. ცხინვალის მისადგომებთან არსებულ თითქმის ყველა სტრატეგიულ სიმაღლესა და სოფელში ქართული დროშა ფრიალებს. ქართული ქვედანაყოფები ქალაქ ცხინვალში შევიდნენ. კოკოითი ჯავის რაიონში, საგანგებო შტაბში იმყოფება. რუსული ავიაცია ქართული ქალაქების დაბომბვას იწყებს. საქართველოს საელჩოს შენობას მოსკოვში ე.წ. ომონი ალყაში აქცევს. საელჩო მუშაობას აგრძელებს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს უკან დაეწიათ რუსეთის 58-ე არმიის ნაწილები, რომლებსაც როკის გვირაბიდან ჯავის რაიონში გადაადგილების მცდელობა ჰქონდათ. ქართულ არმიას 10 დაქირავებული მებრძოლი ჩაბარდა. ქართული მხარე კონფლიქტის რეგიონის 70% აკონტროლებს.საქართველოს ხელისუფლება 15:00-დან 18:00 საათამდე სროლაზე მორატორიუმს აცხადებს და ერგნეთში გაკეთებული დერეფნით მშვიდობიან და არა მარტო მშვიდობიან მოსახლეობას უსაფრთხოების გარანტიებს, გორში გადმოსვლასა და დაბინავებას სთავაზობს. რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ორი ბომბი ჩამოაგდო. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა მარნეულის სამხედრო აეროდრომი და ვაზიანის სამხედრო ბაზა დაბომბა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 58-ე არმიის დანაყოფები ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას მსოფლიო ლიდერებს აცნობს. საქართველოს პარლამენტი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ქართული მხარე მკაცრად იცავს მორატორიუმის პირობებს და ცეცხლის არ ხსნის.რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო 00:00 საათიდან, საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლას წყვეტს. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა სამჯერ დაბომბეს მარნეულის საავიაციო ბაზა. არის მსხვერპლი. საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პრეზიდენტი და საერთაშოროსო ორგანიზაცია და რუსეთს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. რუსეთის სამხედრო ტექნიკა ჯავაში განლაგდა. ისინი ქართული არმიის ალყის გარღვევას ცდილობენ. შემნილ მდგომარეობაზე ევროკავშირის "ტროიკაც" მსჯელობს.

**9 აგვისტო** – რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა სენაკის სამხედრო ბაზა და ფოთის პორტი დაბომბა. არის მსხვერპლი. დაიღუპა 13 ქართველი ჯარისკაცი და ათზე მეტი დაიჭრა. ორმა რუსულმა მოიერიშემ გორთან ქართული არტილერიის პოზიციები დაბომბა. ხუთი ადამიანი დაიღუპა, ქალაქ გორში ბომბი საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა. რუსეთის საჰაერო ძალების ფსკოვის 76-ე საჰაერო დივიზია ცხინვალში შევიდა. ქართული მხარის განცხადებით, ჩამოგდებულია 10 რუსული მოიერიშე თვითმფრინავი. 11:10 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. საქართველოს პარლამენტმა 90 ხმით 0-ის წინააღმდეგ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. 12:30 საათზე სამხრეთ ოსეთში რუსებმა საპარაშუტო დესანტი გადმოსხეს. პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარ გამოსვლაში მხარეებს ცეცხლის შეწყვეტაზე მოუწოდებს. 13:41 საათზე რუსეთის საჰაერო ძალებმა დაბომბეს კოდორის ხეობა. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი პეტრას ვაიტიეკუნასი გორის რეგიონში ჩადის. ვაიტეკუნასის განცხადებით, ნგრევისა და მსხვერპლის რაოდენობა შოკის მომგვრელია. "ამერიკის ხმა" საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობას აორმაგებს. გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთიანი გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლო. კვლავ დაიბომბა ფოთი. საქართველო ერაყიდან ათასი სამხედრო მოსამსახურის უკან გამოწვევის გადაწყვეტლებას იღებს. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოში სიტუაციის მშვიდობიან გადაჭრაში დახმარებას სთხოვს.რუსეთის სამხედრო ავიაცია ლიახვის ხეობის ცხრავე სოფელს ბომბავს. არის მსხვეპლი. ხეობაში დარჩენილი მოსახლეობა შველას ითხოვს.

საქართველოში იწყებენ ჩამოსვლას სხვა და სხვა საერთაშოროსო ორგანიზაციების დამკვირვებელთა ჯგუფები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის სამხედრო აგრესია ე.წ. "ჰუმანიტარული დახმარების" და "მშვიდობისათვის იძულების ოპერაციის" საფარქვეშ მიმდინარეობს. ცხინვალში ბრძოლები მძაფრდება. რუსეთის სამხედრო ავიაციამ ონის რაიონის სოფლები წედისი და ბარი დაბომბა. არიან დაღუპულები და დაჭრილები.

(გაგრძელება გვ.5)

# კინემატოგრაფიის გავლენა

პირველი კინოს გამოჩენიდან (1890 წელი) დღემდე ას წელზე მეტი გავიდა და მას უდიდესი და გამორჩეული გავლენა აქვს საზოგადოების ღირებულებების ჩამოყალიბებაში. ზოგადად, შემოქმედება თუ თავისუფალია, მისი ნაყოფი ყოველთვის ღირებული და მრავლისმომტანია. მე-20 საუკუნის ბოლოს კინემატოგრაფიის როლი განსაკუთრებით გაიზარდა და არაერთი დიდებული ნამუშევარი შეიქმნა. ამის მაგალითებია ალფრედ ჰიჩკოკის გენიალური ფილმოგრაფია, რომელიც რევოლუციური აღმოჩნდა ინდივიდის ემოციური ინტელექტის განვითარების პროცესში. შეუძლებელია, არ გავიხსენოთ დეივიდ უარქ გრიფიტი, რომლის „ერის დაბადება“ მეოცე საუკუნის ოციან წლებში დაუფარავად აკრიტიკებდა რასიზმს და ააშკარავებდა ამერიკის რეაქციულ ფაშიზმს. მოგვიანებით, დღეს უკვე კინემატოგრაფიის მეტრად აღიარებულმა ანდრეი ტარკოვსკიმ, რომელიც საკუთარ თავს საბჭოთა რეჟიმის დევნილად მიიჩნევს, „სტალკერით“ ამხილა გულაგის სისასტიკე, საკუთარი გამორჩეული სურათით, რომლის ფერებიც და დიალოგებიც ზუსტად ისეთია, როგორც საზარელი განცდა თავისუფლებისა, რომელიც სინამდვილეში საშინელი ტყვეობაა, ნებისა და ოცნების გარეშე დარჩენილი ადამიანის უტოპიური სწრაფვა, იპოვოს ჯადოსნური ადგილი, სადაც მისი ოცნებები ახდება.

აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ თენგიზ აბულაძის გენიალური ფილმი „მონანიება“, რომელმაც გასაოცარი მეტაფორულობით ძალიან ნათლად წარმოაჩინა რეჟიმი და საბჭოთა სივრცეში შექმნილი ფილმისთვის დიდი ტრიუმფი ერგო კანის კინოფესტივალზე, რომელზეც მოგებული აქვს სამი სახის პრიზი და ნომინირებული იყო ოქროს პალმის რტოზე. „მონანიება“ ასევე ნომინირებული იყო ოქროს გლობუსზე, რაც იმ დროისთვის საბჭოთა კავშირში შექმნილი კინოსთვის გარღვევა იყო წარმატების თვალსაზრისით. 1984 წელი, ზოგადად, ქართული კინემატოგრაფიისთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო, რადგან „მონანიების“ მსგავსად, ამ წელს გამოვიდა „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, რომელმაც ასახა სისტემის უუნარობა და საზოგადოების ტოტალური აპათია, გულგრილობა, სიცოცხლისუუნარობა და ინერტულობა ყველასა და ყველაფრის მიმართ. ასევე, მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ რუსი რეჟისორის ანდრეი ზვიაგინცევის 2014 წლის დრამა, რომელიც ესტონურ-ქართულ „მანდარინებსა“ და პოლონურ „იდასთან“ ერთად, 2015 წელს, ამერიკის კინოაკადემიის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის პრიზზე იყო ნომინირებული. მიუხედავად იმისა, რომ მისი




გამოსვლის შემდეგ, რუსეთის კულტურის მინისტრმა – ვლადიმერ მედინსკიმ განაცხადა, რომ მას ფილმი არ მოეწონა, რადგან ის სულაც არ ასახავდა რუსეთის რეალობას, ჩვენი აზრით, მისი ნახვა ნამდვილად ღირს, ვინაიდან ის ოჯახური ისტორიის აღწერით, ძალიან კარგად წარმოაჩენს არსებული სისტემის სისასტიკეს და მათ შედეგებს ადამიანების პირად ცხოვრებაზე, მათ დეგრადაციას და ტრაგიკულობას.

გურამ დოჩანაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ კრიზისი და, განსაკუთრებით, სულიერი – შთაგონების საუკეთესო წყაროა და შემოქმედება საკუთარი განვითარების მწვერვალს ასეთ მომენტებში აღწევს. სწორედ ამით აიხსნება ისეთი კინოს პოპულარულობა, რომელიც მასშტაბურ ტრაგედიებსა და კატასტროფებს, ომს და მის ფონზე განვითარებულ ადამიანურ ამბებს უკავშირდება. კინო, რომელიც პირდაპირი ან მეტაფორული მანიფესტია იმ გაჭირვებისა და ზოგადად, დღის წესრიგისა, რომელშიც საზოგადოება ცხოვრობს, კინო, რომელიც ღიად ან დაფარულად ამხელს და აკრიტიკებს, დამსახურებულად აქებს. კინო, რომელიც ცდილობს შექმნას მრავალი ფერი და სამყაროს აღქმის გრადაცია უფრო ფართო გახადოს. საბოლოოდ, კინემატოგრაფია ლიტერატურის შემდეგ, ადამიანის სულიერ განვითარებაზე ორიენტირებული ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული შემოქმედებაა და მისი როლი ციფრულ საუკუნეში თანდათან იზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის კვლავ ინარჩუნებს საზოგადოებაზე, ადამიანზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალებას. რამდენადაც კინოს წარმოება ინდუსტრიად იქცა და ის, როგორც შემოქმედების არაერთი სხვა დარგი, ლიტერატურის ჩათვლით, შემოსავალზეც არის ორიენტირებული, რაც სავსებით ბუნებრივია. თუმცა, დღეს, არცთუ ისე იშვიათად, მაყურებელს რჩება შთაბეჭდილება, რომ კინო გამოიყენება რეკლამირებისთვის და პროპაგანდისთვისაც კი.

სალომე ნატროშვილი

# სპორტული კალეიდოსკოპი

**გასული კვირა დედოფლისწყაროსთვის სპორტული ღონისძიებებით დატვირთული იყო. 1 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, გამგეობის მხარდაჭერითა და სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით, ქალაქის ცენტრში, ღია ცის ქვეშ კიდევ ერთი სპორტული ღონისძიება გაიმართა. საერთაშორისო ტურნირი სახელწოდებით „რინგის რაინდები“ კიკბოქსინგში ქ. დედოფლისწყაროში ჩატარდა. ტურნირის სულისჩამდგმელი, ტრადიციულად, თამაზ ყარაგვეზაშვილი გახლდათ.**

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ ტიტულოვანი სპორტსმენები სამი ქვეყნიდან - საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან. ორთაბრძოლები გაიმართა 25, 30,48,51,54, 57,60, 67,71, 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, ყარაგვეზაშვილის აღზრდილმა მებრძოლებმა პირველობა არავის დაუთმეს და აქედან 10 შეჯიბრი დედოფლისწყაროელ კიკბოქსინგელთა გუნდი „ჩემპიონის“ გამარჯვებით დასრულდა. გაცნობებთ, რომ ბოლო სამი ორთაბრძოლა ჩატარდა K-1 წესით.

ღონისძიებას სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

ჩემპიონატის ერთერთი გამარჯვებული, ლევან ზვიადაური გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ მოგება ადვილი არ ყოფილა, თუმცა, მშობლიურ რაიონში წაგების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ ძალები არ დაიშურა, ბოლომდე იბრძოლა, არ დანებდა და გამარჯვებაც მოიპოვა. 8 აგვისტოს ლევანი 17 წლის ხდება, თუმცა ამბობს, რომ დიდი გეგმები აქვს.

„67 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვასპარეზობდი, ამჯერად აზერბაიჯანელი მეტოქე შემხვდა. ძალიან ძლიერი სპორტსმენი გამოდგა, საკმაოდ ძლიერი დარტყმებით მიგერიებდა. მეორე რაუნდში ნოკდაუნში ჩამაგდო, ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ მისი დამარცხება გამიჭირდა. ბოლო წუთებში თავბრუ მეხვოდა, ვგრძნობდი რომ მიჭირდა, მაგრამ მაინც არ დავნებდი. მნიშვნელოვანი ასპარეზობა იყო, რადგან ჩემივე რაიონში ვიბრძოდი და უფლება არ მქონდა, დავმარცხებულიყავი და ფარ-ხმალი დამეყარა. დაუშვებელი იყო ჩემთვის, რომ ეს ბრძოლა წამეგო, რადგან მწვრთნელი მენდო და მას იმედებს ვერ გავუცრუებდი. რინგზე ბრძოლა ბავშვობიდანვე მომწონდა და ყოველთვის ოცნებად მქონდა. ამ კლუბში სამი წელია, ვვარჯიშობ, 14 წლის ასაკიდან დავდივარ და ვფიქრობ, არჩევანში არ შევმცდარვარ. თამაზი მასწავლებელი არა მხოლოდ ტექნიკურად გვავარჯიშებს, არამედ ფსიქოლოგიურ მომზადებასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და შედეგიც არ აყოვნებს. ბევრჯერ რთულ მომენტში ძალიან დამხმარებია მისი რჩევები. ამ სახეობაში დიდი გეგმები მაქვს, მინდა მწვერვალებს მივაღწიო და ჩემი სახელი დავტოვო. მსოფლიო ჩემპიონი დავით ქირია მისაბაძი მაგალითია ჩემთვის. მისი ბრძოლის მანერა და სტილი ძალიან მომწონს. საეჭრთაშორისო ტურნირი შვიდჯერ მაქვს მოგებული, ორჯერ საქართველოს ჩემპიონატზე მეორე ადგილი ავიღე და ვერცხლის მედალი მოვიპოვე. ვეცდები კარგად მოვემზადო და სხვა წარმატებებიც მქონდეს,“ – განუცხადა „შირაქს“ ლევან ზვიადაურმა.




როგორც ტურნირის ორგანიზატორი თამაზ ყარაგვეზაშვილი ამბობს, ამგვარი ღონისძიებების ღია ცის ქვეშ ჩატარება დამატებით მნიშვნელობას იძენს, რადგან ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ხდება:

„ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დედოფლისწყაროში ხშირად იმართებოდეს ამგვარი სანახაობები. განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე, როცა ჩვენს რაიონს უამრავი მოზარდი სტუმრობს და არდადაგების გამო განსაკუთრებით დიდი ხალხმრავლობაა. ამას თან ერთვის ელიაობის დღესასწაულის გამო დედოფლისწყაროში ჩამოსული სტუმრების სიმრავლე და ამიტომ ვცდილობთ ,ტრადიცია არ დავარღვიოთ და 1 აგვისტოს ვგეგმავთ ხოლმე. ამჯერადაც, ვეცადეთ, საინტერესო დღე ყოფილიყო. მიმაჩნია, რომ, როცა მოზარდები ასეთ ემოციურ შოუს ნახავენ, ბუნებრივია იზრდება ინტერესი და მიმბაძველობა ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ. მთელი ჩემი ცხოვრება სწორედ ამისთვის ვიბრძვი, რომ გაიზარდოს სპორტის პოპულარობა და მაქსიმალურად გავაღვივოთ მომავალ თაობებში





ვარჯიშის მოთხოვნილება და ზოგადად, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას შევუწყოთ ხელი. ამ მიზნით, თითქმის ყველა ზაფხულს ვცდილობთ, საუკეთესო სპორტული სანახაობა შევთავაზოთ მაყურებელს,“ – აღნიშნავს თამაზ ყარაგვეზაშვილი.

2 აგვისტოს დილიდან, ელიაობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ქართულ ჭიდაობაში ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა. შეჯიბრება ყოველ წელს ელიას მთის ფერდობზე, ტყეში ტარდება და ბოლო ხანს ტრადიციად ჩამოყალიბდა.

როგორც ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ სპორტსმენები სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. პირველი ადგილი დაიკავა 70 კგ წონით კატეგორიაში დიდებაშვილმა (ქვემო ქედი), მეორე ადგილი დაიმსახურა კოპაძემ (ქ. გორი); 80 კგ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე გავიდა კაპანაძე (ხაშური), ხოლო მეორე ადგილი ერგო მამულაშვილს (კასპი). გამარჯვებულები სიგელებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ისე მეუფე დიმიტრიმ.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი თამაზ თამაზაშვილი, ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი, ქართული ჭიდაობის კახეთის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი გურამ სამხარაძე, მეუფე დიმიტრი (კაპანაძე) და ადგილობრივი მოსახლეობა.

ასევე, ახლახან კახეთის ჩემპიონატი გაიმართა ლაშქრობაში. თბილისის ეროვნულ პარკში მიმდინარე ჩემპიონატში მონაწილეობდა 7 მუნიციპალიტეტის გუნდი. დედოფლისწყაროს გუნდმა პირველობა არავის დაუთმო და მოიპოვა საგზური საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც ბორჯომში გაიმართება. დედოფლისწყაროს გუნდის შემადგენლობა: ლევან წიკლაური, ვალერი ვაჭრიძე, კობა ქადაგიძე, არსენ ყარაგვეზაშვილი და გიორგი ცისკარაული. საქართველოს ჩემპიონატი სავარაუდოდ სექტემბრის თვეში დაინიშნება და მასში მონაწილეობას მიიღებს ყველა რეგიონის გამარჯვებული თითო გუნდი, ხოლო კახეთის რეგიონს, საქართველოს თასის ფინალზე დედოფლისწყარო წარმოადგენს.

შეჯიბრება საკმაოდ დაძაბული იყო და დიდი კონკურენციის პირობეში მიმდინარეობდა, ჩვენი გუნდი შეკრული და ერთსულოვანი იყო ყველა გადაწყვეტილების მიღებაში, იყო ეს **GPS**-ით კოორდინატების ძებნა, თუ გეოგრაფიული შეკითხვების პასუხის გაცემა, რამაც საბოლოო ჯამში საუკეთესო შედეგამდე მიგვიყვანა.

ილია მარტყოფლიშვილი

# ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება საზღვარს კეტავს

აგვისტოს მოვლენების მე-9 წლისთავთან დაკავშირებით ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოსთან საზღვარს კეტავს, - ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახური იტყობინება.

დე-ფაქტო უწყების განცხადებით, საზღვრები 6 აგვისტოს 20 საათიდან ჩაიკეტება და 9 აგვისტოს, დილის 7 საათიდან გაიხსნება.




# ბენსუდა რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთს" თანამშრომლობისკენ მოუწოდებს

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთს" მოუწოდებს, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებასთან დაკავშირებით მის ოფისთან ითანამშრომლონ და აცხადებს, რომ ის და მისი ოფისის წარმომადგენლები პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში გაემგზავრებიან მოსკოვში და ცხინვალში. ამის შესახებ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის, ფატუ ბენსუდას ოფისში განაცხადეს.

მათივე განცხადებით, პროკურორმა თავიდანვე აღნიშნა, რომ ყველა მხარის მიერ დროული და თანმიმდევრული თანამშრომლობა ეფექტური გამოძიების ჩატარების მიზანს ემსახურება.

ფატუ ბენსუდა და მისი ოფისი მიიჩნევს, რომ ეს ხელს შეუწყობდა წვდომას დანაშაულის ჩადენის ადგილებზე და დანაშაულის მსხვერპლზე, მიუხედავად მათი ეთნიკურობისა და ეროვნებისა.

"შესაბამისად, ყველა მხარის თანამშრომლობა კონფლიქტის მსხვერპლთა ინტერესებშია, რომელი მხრიდანაც არ უნდა იყვნენ ისინი. პროკურორის ოფისი კვლავ მოუწოდებს ამგვარი თანამშრომლობისკენ და ამ მიზნით, რეგულარულ კონტაქტშია კონფლიქტის ყველა მხარესთან. საქართველოს მთავრობის მხრიდან თანამშრომლობისთვის მზაობა არის. სამწუხაროდ, მიუხედავად ძალისხმევისა, რუსეთის ფედერაციასთან და "სამხრეთ ოსეთთან" თანამშრომლობა რთული აღმოჩნდა. თუმცა, საგამოძიებო ქმედებები კვლავ გრძელდება. პროკურორის ოფისი გამოძიებას დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებზე დაყრდნობით ახორციელებს.

ქალბატონი ფატუ ბენსუდა და მისი ოფისის წარმომადგენლები ვიზიტით ეწვივნენ თბილისს და რეგულარულ კონტაქტში არიან საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. გამომძიებლები აქტიურად აგროვებენ მტკიცებულებებს. პროკურორის ოფისისთვის კონფლიქტის ყველა მხარესთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ქალბატონმა ფატუ ბენსუდამ ყველა მხარეს მოუწოდა, პროკურორის ოფისთან ითანამშრომლონ და განაგრძობს თავის ძალისხმევას, რათა რუსეთი და „სამხრეთ ოსეთი" ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში.

ქალბატონი ბენსუდა კვლავ მოუწოდებს რუსეთსა და „სამხრეთ ოსეთს" მის ოფისთან ითანამშრომლონ და აცხადებს, რომ ის და მისი ოფისის წარმომადგენლები პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში გაემგზავრებიან მოსკოვში და ცხინვალში", - განაცხადეს ჰააგის პროკურორის ოფისში.

# აგვისტოს ომის ქრონიკა

(მესამე გვერდიდან)

ჯორჯ ბუშმა რუსეთს მოუწოდა, შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს პირველი პირი აცხადებს, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაღუპულია 55 ადამიანი, მათ შორის 15 მშვიდობიანი მოქალაქე, 40 კი სამხედრო მოსამსახურე.რუსეთის ბომბდამშენებმა ბაქო-თბილისი–ჯეიჰანის საერთაშორისო ნავთობსადენზე იერიში მიიტანეს. წითელი ჯვრის წარმომადგენლები კონფლიქტის ზონაში დაჭრილების დასახმარებლად ვერ შედიან. რუსულმა ავიაციამ ზემო აფხაზეთის სოფლები ომარიშარა, საკენი, ქვაბჩარა და ჩხალთა დაბომბა. ქართულმა მხარემ როკის გვირაბზე იერიში მიიტანა. ოფიციალური ინფორმაციით საქართველოს სამთავრობო ძალები ცხინვალსა და მის შემოგარენს აკონტროლებენ.

**10 აგვისტო** – 6:20 საათზე საქართველომ ცეცხლის შეწტყვეტა მოითხოვა და რუსეთს მოლაპარაკება შესთავაზა. ა ნიკოლა სარკოზიმ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების დასარეგულირებლად შეიმუშავა გეგმა. ვლადიმერ პუტინმა პეკინის ოლიმპიადაზე ვიზიტი შეწყვიტა და ჩრდილო ოსეთში ჩავიდა. მან საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალის რეგიონიდან სამხედრო ნაწილების გამოყვანა მოსთხოვა. პუტინი აცხადებს, რომ საქართველოს ქმედებები დანაშაულებრივია, რუსეთის ქმედებები კი – სრულიად ლეგიტიმური. საქართველოს საჯარისო შენაერთები მთლიანად აკონტროლებენ ცხინვალს, მის ირგვლივ ყველა სტრატეგიულ სიმაღლეს. რუსული ავიაცია და არტილერია ცხივნალის დაბომბვას იწყებს. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომაიამ საგანგებო ბრიფინგზე დაადასტურა, რომ რუსული არმიის უპრეცედენტო შეტევის შედეგად საქართველოს ჯარის ნაწილებმა ქალაქ ცხინვალის მისადგომებთან გადაინაცვლეს. საქართველოს მთავრობამ აფხაზ ხალხს მიმართა ნუ აყვებიან რუსეთის პროვოკაციებს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიერ სამხრეთ ოსეთში სიტუაციის განმუხტვისათვის შემუშავებულ სამეტაპივან გეგმას ჩამოიტანს. სერგეი ბაღაფში საყოველთაო მობილიზაციას აცხადებს. საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ აფხაზეთის სანაპიროზე რუსეთის საზღვაო ძალების შავი ზღვის ფლოტი იმყოფება.იმავე დღესვე რუსებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი დაბომბეს. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ამ განცხადებას საქართველოს „კიდევ ერთი დეზინფორმაცია" უწოდა. 22:00 საათზე საქართველო დათანხმდა რუსეთის სამშვიდობოების შესვლას ზუგდიდში. მსოფლიოს ლიდერები რუსეთისგან ცეცხლის შეწყვეტას ითხოვს. ევროპის ქვეყნებში, რუსეთის საელჩოების წინ, საპროტესტო აქიები იმართება. რუსეთის ავიაცია გორსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს ბომბავს. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს შეიარაღებული ჯარები სამხრეთ ოსეთში ცეცხლს შეწყვეტენ. რუსული ავიაცია საავიაციო ქარხნის „თბილავიამშენის" ტერიტორიას ბომბავს. ოფიციალური მონაცემებით, 94 ადამიანია დაღუპული, მათ შორის 47 სამხედრო და 47 სამოქალაქო პირია. ევროპის სხვა და სხვა ლიდერები საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით გამოდიან. ზემო აფხაზეთს რვა რუსული ბომბდამშენი ინტენსიურად ბომბავს.

**11 აგვისტო** - სერგეი ლავროვმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისთან სატელეფონო საუბარში ახსენა, რომ მიხეილ სააკაშვილი "უნდა წავიდეს". თბილისში ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები ჩამოდიან. ზემო აფხაზეთს კვლავ რუსეთის სამხედრო ავიაცია ბომბავს. რუსულმა ავიაციამ თბილისა და მის შემოგარენზე საჰაერო შეტევა განახორციელა. სამხედრო ბაზა სენაკში რუსმა მედესანტეებმა დაიკავეს. ზუგდიდის პოლიცია რუსების ხელში გადავიდა. გენერალი სერგეი ჩაბანი ქართულ მხარეს ულტიმატუმს უყენებს და იარაღის დაყრას მოითხოვს. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ადასტურებს ცნობას ჩეჩნეთიდან სპეცბატალიონების „ვოსტოკისა" და „ზაპადის" გადმოყვანის შესახებ. საქართველოსა და რუსეთს შორის საფოსტო კავშირი შეწყდა. ქართული მხარე ჰუმანიტარული დერეფნის გაკეთებასთან დაკავშირებით რუსეთის თანხმობას უშედეგოდ ელის. ბერნარ კუშნერი თბილისში ჩამოდის. რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს აპატიმრებენ. ორი დღის განმავლობაში მოსკოვში ეთნიკური ნიშნით მოკლულია 7 ქართველი 20 უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. საქართველოს პრეზიდენტი და უცხოელი დიპლომატები გორიდან სასწრაფოდ გამოიყვანეს. ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ რუსეთი თავის სამშვიდობო მისიას ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს. რუსულმა ავიაციამ სოფელ ტყვიავზე მორიგი იერიში მიიტანა. სოფელი ხურჩა აფხაზებისა და რუსების შეიარაღებულმა ნაწილებმა დაიკავეს. სენაკის სამხედრო აეროპორტი და სამხედრო ბაზა იმობმება. საქართველოს პრეზიდენტმა მოსახლეობას „ხვალ, 15:00 საათზე პარლამენტთან" შეკრებისკენ მოუწოდა

**12 აგვისტო** – რუსეთმა ფოთის სანაპიროსთან ნაწილები გადმოსხა პორტის გარშემო 50 კმ-იანი ბუფერული ზონის შესაქმნელად. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს და მოითხოვს რუსეთმა გადადგას ნაბიჯები კრიზისის დასასრულებლად. „დიდი შვიდეულის" ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთისგან მოითხოვეს დაუყოვნებლივ დათანხმდეს ცეცხლის შეწყვეტას. რუსეთის საოკუპაციო ნაწილებმა ზემო აფხაზეთის მიმართულებით სამხედრო ოპერაცია დაიწყეს.რუსეთის საოკუპაციო სამხედრო საჰაერო ძალებმა გორის რაიონის სოფელი თორტიზა დაბომბეს. კოდორის ხეობიდან მოსახლეობა მთლიანად გამოყვანილია. რუსულმა ავიაციამ თბილისის ზღვაზე იერიში მიიტანა. სერგეი ლავროვმა საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შესახებ ღიად განაცხადა. რუსეთის პრეზიდენტმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში "ძალით მშვიდობის დამყარების" ოპერაციის დასრულების შესახებ განაცხადა. გორის დაბომბვის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა. რუსეთის საოკუპაციო ჯარები სენაკში თავდაცვის სამინისტროს მე-2 ბრიგადის ბაზის ინფრასტრუქტურას ანადგურებენ. ილია მეორემ დიმიტრი მედვედევს მიმართვა გაუგზავნა და ცეცხლის უსწრაფესად შეწყვეტისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდა. რუსეთი გრძელებს საქართველოს ტერიტორიის საჰაერო დაბომბვებს. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეტევა განახორციელეს ბაქო-თბილის-სუფსის ნავთობსადენზე. პარლამეტის წინ შეკრებილ მოსახლეობას მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა, რომ საქართველო რუს სამშვიდობოებს ოკუპანტებად, ხოლო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებს ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადებდა. მან ასევე გამოაცხადა, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოდიოდა. ზუგდიდში რუსმა სამხედროებმა ქართული სამშვიდობოების შტაბი და სხვა ადმინისტრაციული შენობები დაიკავეს. რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჩიხიდან გამოსვლის 6-პუნქტიანი განცხადება შეიმუშავეს. საქართველომ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი "საქართველო რუსეთის წინააღმდეგ". საქართველო რუსეთს ეთნიკურ წმენდაში ადანაშაულებსრუსული ავიაცია ქართული სოფლების დაბომბვას განაგრძობს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა. თბილისში იმყოფებიან ესტონეთის, პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის პრეზიდენტები. ასევე ლატვიის პრემიერ-მინისტრი. დაღუპულია 175 ადამიანი. იაპ დე ჰოოპ სხეფერი აცხადებს, რომ მიუხედავად კონფლიქტისა საქართველო რჩება ნატოს კანდიდატი ქვეყანად. მოსკოვში ნიკოლა სარკოზის პირად საუბარში პუტინმა განუცხადა, რომ ის "სააკაშვილის ყვერებით ჩამოკიდებას" აპირებდა.

**13 აგვისტო** - საქართველოში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა. გორს რუსი სამხედროები აკონტროლებენ. მათ გორში მოროდიორობა დაიწყეს. რუსმა ოკუპანტებმა ფოთი დატოვეს. რუსმა ოკუპანტებმა გორთან დასავლეთისკენ მიმავალი საავტომობილი გზა გადაკეტეს. რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დაარღვია და გორი კვლავ დაბომბა. გორიდან თბილისისკენ მომავალმა რუსულმა ტანკებმა უფლისციხის მიმართულებით გადაუხვია. რუსი ოკუპანტები მესტიის რაიონში შევიდნენ. რუსი სამხედროები გორში მშვიდობიან მოსახლეობას უსწორდებიან. 14 აგვისტო - რუსი ოკუპანტები მესტიის რაიონს ტოვებენ. თბილისში ცხინვალის რეგიონიდან 28 ათასი დევნილია, რომლებიც 268 ობიექტშია გადანაწილებულნი. 15 აგვისტო - რუსმა ოკუპანტებმა მდინარე ცხენისწყლის საავტომობილო ხიდი გადაკეტეს. პატრიაქრი გორში შევიდა. კონდოლიზა რაისი თბილისშია. საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს ცეცხლის შეწყვეტის გეგმას.რუსეთის სამხედრო ვერტმფრენებმა ბორჯომისა და ცემის მიმდებარე ტერიტორია დაბომბეს. 16 აგვისტო -მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში რუსული აგრესიის საწინააღმდეგოდ ფართომასშტაბიანი აქციები იმართება. რუსმა ოკუპანტებმა გალიდან ზუგდიდში დამატებით 50 ერთეული ტანკი შეიყვანეს. რუსრუსი სამხედროები კვლავ გორში რჩებიან. რუსეთის საოკუპაციო ჯარების ნაწილებმა დანაღმეს და ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი კასპის რაიონში მეტეხი-გრაკალის გადასარბენზე. დიმიტრი მედვედევმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გეგმას ხელი მოაწერა. რუსული ვეტრფრენები სურამის ტყეში ცეცხლგამჩენ ჭურვებს ყრიან. 17 აგვისტო - თბილისს ამერიკელი სენატორი ბაიდენი ეწვევა. ანგელა მერკელი თბილისშია მედვედევმა სარკოზის პირობა მისცა, რომ საქართველოდან ჯარების გაყვანის პროცესი ხვალიდან დაიწყება 18 აგვისტო - რუსმა ოკუპანტებმა შტურმით აიღეს გორის სატელევიზიო ანძა და მომსახურე პერსონალი ჩაცხრილეს. რუსმა ოკუპანტებმა განმუხურის პატრიოტთა ბანაკი გადაწვეს. 19 აგვისტო - სენატორი ჯოზეფ ბაიდენი კონგრესს საქართველოსთვის ერთი მლრდ დოლარის გამოყოფას სთხოვს. რუსეთის საოკუპაციო ჯარების გასვლის თარიღი კიდევ ორი დღით გადაიდო. დაღუპულა 215 ადამიანი, 1469 დაჭრილია, დაკარგულია 70 სამხედრო პირი. დიმიტრი მედვედები სარკოზის ჯარების გაყვანას 22 აგვისტოსთვის დაჰპირდა. რუსმა ოკუპამტებმა ოსიაურის სამხედრო ბაზა ააფეთქეს. 20 აგვისტო - რუსმა ოკუპანტებმა საჩხერის რაიონის სოფელი პერევი დაიკავეს. კიკეთის მიმდებარე ტყეში ორმა რუსულმა ვერტმფრენმა ცეცხლგამჩენი ჭურვები ჩამოყარა. 21 აგვისტო - საქართველოს რუმინეთის პრეზიდენტი ეწვევია. ტყვეთა გაცვლის შესახებ მოლაპარაკების პროცესი დიწყო. რუსეთს აკრძალული იარაღის გამოყენებაში ადანაშაულებენ. 22 აგვისტო - ხაშურიდან და გორიდან რუსი ოკუპანტების გასვლა შეინიშნება. წინასწარი მონაცემებით განადგურებულია 500 ჰა უნიკალური ტყის მასივი. რუსეთი ენგურზე 18 საგუშაგოს განალაგებს. ოფიციალურად აფხაზეთში რუსული საოკუპაციო არმიის 2 142 სამხედრო რჩება. 23 აგვისტო - რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა სენაკის ბაზა დატოვეს. 24 აგვისტო - რუსი ოკუპანტები საჩხერის რაიონის სოფელ პერევის ტერიტორიაზე რჩებიან. 25 აგვისტო - რუსეთის ფედერაციის საბჭომ პრეზიდენტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების რეკომენდაცია მისცა. რუსეთის დუმამ აღიარებას მხარი დაუჭირა.გორში ტყვეთა გაცვლის მორიგი ეტაპი იწყება. 26 აგვისტო - დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.



# თავგანწირვის ტაძარი




დღეს საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ერი აღარ მრავლდება- სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გარდაცვლილთა რაოდენობა მკვეთრად სჭარბობს ახალშობილთა რიცხვს. პრობლემათა ჩამონათვალი არცთუ მცირეა: ქვეყანაში ბევრ ადამიანს ეკონომიურად უჭირს, სოციალურად დაუცველთა რიცხვი კვლავ დიდია. არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ოჯახების ნგრევას, სხვა მიზეზებთან ერთად, ეკონომიკური ფაქტორიც იწვევს.

ბავშვის გაზრდას ხომ მშობლის სითბოსთან ერთად უამრავი რამ სჭირდება- საკვები, ტანსაცმელი, განათლება... იმის გამო, რომ ოჯახის უფროსები ვეღარ ასრულებენ მარჩენალის ფუნქციას, ქალები ზრუნავენ იმაზეც, რომ ოჯახში შემომტანის როლი იკისრონ... სწორედ ამის ხარჯზე იზრდება უცხოეთში გადახვეწილი დედებისა და დანგრეული ოჯახების რიცხვი...

თუმცა, მართლმადიდებლური რელიგია სხვა ჭრილში განიხილავს ქართულ საზოგადოებასა და ოჯახში მიმდინარე პროცესებს და კითხვებზე: **და მაინც, რა ხდება დღეს? როგორია თანამედროვე ოჯახის ზნეობრივი მდგომარეობა? რატომ გახდა საზოგადოებისთვის აბორტი ჩვეულებრივი მოვლენა და არასასურველი შვილისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება?** -პასუხებსაც ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე გვცემს.

ქართული ოჯახის პრობლემები იყო წინ წამოწეული ფილმში „თავგანწირვის ტაძარი“, რომლის ჩვენებაც 2 აგვისტოს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში გაიმართა.

ფილმი შექმნილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ეხება ოჯახის თემას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის თხოვნაა, რომ ამ ფილმმა მოიაროს სრულიად საქართველო და ყველა ქართველის ოჯახში შევიდეს.

„ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა საპატრიარქოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოება. 2017 წელს მთელ საქართველოს შემოვივლით“, — განაცხადა ფილმის დაწყებამდე ჩოხოსანთა საზოგადოების წარმომადგენელმა ზვიად სეხნიაშვილმა.

ფილმში დეტალურადაა ახსნილი, თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანული ოჯახი:

„ქრისტიანობაში ქორწინება ერთ-ერთი საიდუმლოთაგანია. ეს არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთიური სიყვარულისა! ოჯახური ცხოვრება კი – ქრისტიანული ღვაწლია - გზა სულის ხსნისა!

ჩვენი წინაპრები ამ მხრივაც კეთილად ილვწოდნენ, რამეთუ შიში, მოწიწება და მოკრძალება ჰქონდათ უფლისა და რაც მთავარია, ჰქონდათ სიყვარული. მათ უფალში უყვარდათ ერთმანეთი და ამის უამრავი მაგალითიც გვაქვს ჩვენს ისტორიაში.

ქალს თავისი ადგილი ჰქონდა ოჯახში და კაცს თავისი. ქმარი ისეთივე თავი იყო ცოლისა, როგორც ქრისტე - ეკლესიისა. როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი დასდო მისთვის, ასეთივე თავდადებული და მოსიყვარულე იყო ქმარი ცოლისთვის და ცოლიც ქმრისთვის. მათ ქრისტესმიერი სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი. თუმცა, მათი ცხოვრების გაცნობისას შეიძლება ზედმეტ სიმკაცრესაც გადავაწყდეთ, განსაკუთრებით მთიელ ქალთა ცხოვრებაში, მაგრამ კარგად თუ დავუკვირდებით, თუ ჩავუღრმავდებით მათი ცხოვრების წესსა და პრინციპებს, მივხვდებით რომ სწორედ მაგ „სიმკაცრითა“ და „სისასტიკით“ იწრთობოდა მათი რთული და საინტერესო ხასიათი და უჩვეულო და გასაოცარი ბუნება.

ჩვენი წინაპრები უფალს იყვნენ ყველანაირად მინდობილნი, ამიტომაც არ იდგა მათ წინაშე ძალიან ბევრი ისეთი საკითხი, რაც თანამედროვე ოჯახებს აწუხებს, თუნდაც ოჯახის დაგეგმარების საკითხი, თუ რამდენი შვილი იყოლიონ. მედიცინის განვითარებამ და ცხოვრებისადმი მატერიალისტურად დამოკიდებულებამ გამოიწვია დღეს ეს პრობლემა ოჯახებში, მაგრამ, ასეა თუ ისე, ფაქტია და ცხოვრებამაც ცხადყო, რომ ეს არის ყველაზე არაჯანსაღი დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავისადმი და ოჯახისადმი, ასევე ქვეყნისადმი და მომავლისადმი. ფაქტობრივად, ჩვენს თვალწინ ხდება დღეს ერის გადაშენება.

ფილმში იყო არაერთი სულის შემძვრელი კადრი, რომელიც აბორტის თემას უკავშირდებოდა, თუმცა, ფილმის დასასრული იყო ოპტიმისტური, ხოლო რეზიუმე – დაახლოებით ამგვარი:

განა წარსულში არ უჭირდათ ჩვენს წინაპრებს შვილების გაზრდა? განა მაშინ არ იყო პრობლემები? – იყო და იმაზე მეტიც, ვიდრე დღეს გვაქვს, მაგრამ მათი სულიერი სიმაღლეები ცოტა სხვა განზომილებაში იყო და მათი შეხედულებებიც უფრო სხვანაირი იყო სამყაროსა თუ ღმერთზე. პრობლემებსაც გაცილებით მარტივად და იოლად უმკლავდებოდნენ.

ოჯახი უნდა იყოს თავგანწირვის ტაძარი მისი ყველა წევრისათვის, მხოლოდ მაშინ გადარჩება ქართული საზოგადოება და ყველა პრობლემაც მოიხსნება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივამ, რომელიც ოჯახში ყოველი მესამე ბავშვის მონათვლას უკავშირდება, ქვეყნის დემოგრაფიულ სურათზე დადებითი ასახვა უკვე ჰპოვა, მაგრამ ეს არაა საკმარისი. ამაზე მთელმა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ კიდევ უნდა იფიქროს, რათა მეტად მოხდეს მშობლებისთვის მატერიალური ტვირთის შემსუბუქება. მართალია, მშობიარობა უფასო გახდა და მას სახელმწიფო სრულად აფინანსებს, მაგრამ ეს არაა საკმარისი. ბავშვმაც და მისმა მშობელმაც უნდა იგრძნოს, რომ სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეზე დაბადებისთანავე ზრუნავს... ევროპულ ქვეყნებში მსგავსი გამოცდილება უკვე არსებობს. ჩვენი სურვილიც ხომ ევროპულ თანამეგობრობასთან ინტეგრაციაა.

***ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წერილს „ბედნიერი ოჯახი“.***

# ბედნიერი ოჯახი

ქრისტიანული ოჯახი სიყვარულით უნდა შეიქმნას, უსიყვარულოდ ეს კავშირი არ იარსებებს, ან დამახინჯებულ სახეს მიიღებს და შეიძლება საერთოდაც დაიშალოს. სიყვარული რომ არ განქარდეს და ოჯახმა ბედნიერება შეინარჩუნოს, მისმა წევრებმა ერთმანეთისთვის ცხოვრება უნდა ისწავლონ და თავისი გარემო მცირე ეკლესიად აქციონ.

**რას ნიშნავს ეს?**

ოჯახში იერარქია (უფროს-უმცროსობა) უნდა იყოს დაცული და მისი თავი უნდა იყოს ქმარი, როგორც ამას უფალი ბრძანებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი რაიმეთია უპირატესი, არამედ მას მეტი პასუხისმგებლობა აქვს და ევალება მზრუნველობა და დაცვა ოჯახისა. ზრუნვა კი გულისხმობს არა მარტო მატერიალურ უზრუნველყოფას, არამედ ღვთის წინაშე მეოხებასაც.

ლოცვა, რა თქმა უნდა, მეუღლეთა საერთო ვალდებულებაა და ხშირად ქალები უფრო გულმხურვალენიც არიან, მაგრამ, წესით, ქმარმა უნდა დალოცოს მეუღლე და ორივემ, — შვილები. დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურად ოჯახის წევრების ერთად ლოცვას და ეკლესიურ ცხოვრებას. სასურველია, ყველამ ზეპირად იცოდეს დასაწყისი ლოცვები, 50–ე და 90–ე ფსალმუნები, „იესოს ლოცვა“, „მოწყალებისა კარი განგვიღე“ და სხვა.

მეუღლეები უნდა ზრუნავდნენ თავიანთი როგორც სულიერი, ისე ინტელექტუალური განვითარებისათვის. თითოეული თავის თავში და თავის მეუღლეში უნდა ცდილობდეს ახალი გრძნობების, ახალი სიმაღლეების აღმოჩენას. ამის მიღწევა კი, მითუმეტეს სულიერი განვითარების გარეშე, შეუძლებელი იქნება; უამისოდ წყვილი ადვილად ამოწურავს ერთმანეთს და ერთიმეორისადმი ინტერესიც დაეკარგებათ; ურთიერთობა აღმოჩნდება ხანმოკლე, ზედაპირული და ხორციელ კავშირზე აგებული. და თუ ურთიერთობა მხოლოდ მიწიერი ვიწრო ინეტრესებით შემოიფარგლება, რა თქმა უნდა, მჯობნის მჯობნი არ დაილევა და გულაცრუების მიზეზიც ადვილად გამოჩნდება; სულიერი ერთობა კი მტკიცეა და ხანიერი.

მივმართავ ქმარსაც და ცოლსაც: თქვენ ნუ მოითხოვთ მეუღლისაგან პატივს, — პირველმა თქვენ მიაგეთ პატივი. ორივემ ისწავლეთ სხვისთვის ცხოვრება და ეს სხვა პირველ რიგში უნდა იყოს თქვენი მეორე ნახევარი. ასეთ შემთხვევაში იბადება ბედნიერება. ბედნიერი ოჯახი არის ისეთი ერთობა, ისეთი სიყვარული, როცა სამაგიეროს არ ითხოვ სხვისგან და ამასთან უშურველად გასცემ შენს სიკეთეს.

ეს ნიშნავს საკუთარი თავის შენს მეორე ნახევარში აღმოჩენას და მისთვის უანგარო მსახურებას; რა თქმა უნდა, ყურადღება გასამახვილებელია იმაზეც, რომ ეს დამოკიდებულება ცალმხრივად არ იქცეს, არამედ ბოლომდე დარჩეს „მე“ და „შენ“ ურთიერთობად, „ჩვენ“ ურთიერთობად და ქორწინების დღის „მეფობა“ და „დედოფლობა“ გარკვეული სახით მთელი ცხოვრება შენარჩუნდეს.

იცოდეთ, მიუხედავად დიდი სიყვარულისა, ბოლომდე არ უნდა გაუშინაურდეთ ერთმანეთს. ეს უნდა ემჩნეოდეს თქვენს საუბარს, ჩაცმას, გარეგნობას, ქცევას... თქვენში მუდამ უნდა იყოს რაღაც მიუწვდომელი. ამასთან, მეუღლესთან ყოველი შეხვედრა ორივესთვის ზეიმი უნდა იყოს. ერთმანეთის მონატრების გრძნობა არ უნდა დაკარგოთ (ძველ დროს, საერთოდაც, ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე ოთახებში ეძინათ და მათი კავშირი იყო დიდი სიხარული), თუმცა ხანგრძლივი განშორებაც არ შეიძლება და ყველაფერში ოქროს შუალედია დასაცავი.

ოჯახშიც და ოჯახისგან დამოუკიდებლადაც ცოლსაც და ქმარსაც შეიძლება ბევრი უსიამოვნება შეხვდეს; ყოველთვის ეცადეთ, რთულ სიტაუციებში გაუგოთ ერთმანეთს, იყავი მეუღლის თანამგრძნობი, მაგრამ თუ იგი ცრუობს ან არასწორად იქცევა, ისე წარმართე საუბარი, რომ სიმართლეც უთხრა და თან მისი ღირსება არ შელახო.

არასოდეს დაამცირო იგი შვილების, ან სხვათა წინაშე. რომ თქვენც ერთმანეთთან მიმართებაშიც არ დაგერღვეთ ზღვარი და შვილებსაც თქვენდამი პატივისცემა არ დააკარგვინოთ.

გაითავისეთ და შვილებსაც ასწავლეთ, რომ თუ რაიმე შეგეშალათ, ან მათ შეეშალათ, ბოდიშის მოხდა და დანაშაულის აღიარება დიდი ღირსებაა. ეს ძლიერი პიროვნებების თვისებაა.

არ შეუშინდეთ პრობლემებს, პირიქით, იგი თქვენი დაახლოებისა და სულიერ კიბეზე ამაღლების საშუალებად აქციეთ ად ღმერთიც აუცილებლად შეგეწევათ.

არ იჩხუბოთ, მით უმეტეს, ბავშვების თანდასწრებით, ეს მათზე მეტად მტკივნეულად მომქდებს. თუ უსიამოვნება მაინც მოგივათ, ეცადეთ, დაძინებამდე შერიგდეთ. წმინდა მამები გვარიგებენ, რომ მზე ისე არ უნდა ჩავიდეს, რომ შენს მიერ განაწყენებულ ახლობელთან ურთიერთობა არ აღადგინოო. მით უმეტეს, — მეუღლესთან.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ექცევით თქვენ თქვენს მშობლებს და თქვენი მეუღლის მშობლებს. ბიბლიაში ვკითხულობთ: — „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ-გეყოს შენ და დღეგრძელ-იყო ქვეყანასა ზედა,“ — ეს არის პირველი და აუცილებელი პირობა ბედნიერების მოპოვებისა.

შვილებზე ზრუნვა ორივეს მოვალეობაა. ორივე ვალდებულია, მათ თავისი დრო დაუთმონ. ბავშვებმა, პირველ რიგში, მშობლების დიდი სიყვარული უნდა იგრძნონ, მაგრამ, თუ ეს სიყვარული ეგოისტურია და მიზნად ისახავს მიკერძოებული დამოკიდებულე-



ბის ჩამოყალიბებას, იგი ოჯახის დამახინჯებას შეუწყობს ხელს და მის არასწორ განვითარებას განაპირობებს.

მშობლისგან ბავშვის სიყვარული არ ნიშნავს მათი ყველა სურვილის შესრულებას. პირიქით, ეს არასწორი ქმედებაა. თქვენ ყოველთვის სიყვარულით უნდა მიუთითოთ შეცდომაზე და თან აუხსნათ შვილს, რატომ არის ესა თუ ის ქმედება მიუღებელი. თქვენი სიყვარული მათდამი უნდა გამოხატოს იმაშიც, რომ ბავშები ცხოვრებისათვის მოამზადოთ. ამიტომაც, ნუ მოგერიდებათ მათი დასაქმება, შეასწავლეთ საქმე, რითაც თქვენც შეგეწევიან და მომავალში მისი ცოდნა თვითონაც გამოადგებათ.

შესაძლებლობებისამებრ ბავშვები ატრეთ ისეთ წრეებზე, რაც მათ სულიერ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს; ასწავლეთ საქართველოს ისტორია, ქართული სიმღერა-გალობა, ცეკვა, ატარეთ სპორტზე, — აღმოაჩინეთ მათში ესა თუ ის ნიჭი და მიდრეკილება და წაახალისეთ; ჩაუნერგეთ, რომ ისინი არინ ნიჭიერნი, რათა ბავშვებმა მონდომებითა და სიყვარულით გააკეთონ ყველაფერი. სასურველ გარემოში ყოფნა კი მათ შესძენს გულითად მეგობრებს და გარკვეულწილად დაცულნიც იქნებიან მავნე ზეგავლენებისგან.

მოუწონეთ სხვისი დახმარება, განსაკუთრებით განსაცდელში მყოფის თანადგომა, ასწავლეთ ღვთის სიყვარული, ასწავლეთ წესრიგი, მადლიერების გამოხატვა, სისუფთავის სიყვარული, დროის სწორი გამოყენება... და მომავალში ისინი თქვენი დიდი მოსიყვარულენი და დამფასებელნი იქნებიან.

შვილების სწორად აღზრდის თემა მეუღლეთა შორის მუდმივი განხილვის საგანს უნდა წარმოადგენდეს, რათა შეჯერებული პოზიციით დაიგეგმოს შემდეგი ნაბიჯები.

შეცდომები, რა თქმა უნდა, ყველას მოსდის. ამიტომაც არის, რომ არც ბოლომდე იდეალური ოჯახი არსებობს და არც მუდმივად იდეალური ურთიერთობები.

ქრისტიანობა სიყვარულისა და მიტევების რელიგიაა. თუ შენს თავს მაცხოვრის მიმდევრად მიიჩნევ, იცოდე, რომ შენდობის უნარიც უნდა გქონდეს (სასურველია, შემცოდესაც გულწრფელი და ღრმა სინანული გააჩნდეს).

ვისწავლოთ პირველ რიგში ღვთის სიყვარული, ვისწავლოთ პატიება, ვისწავლოთ უშურველი სიყვარული, ვისწავლოთ ჯვრის მტვირთველობა, ვისწავლოთ ცხოვრება.

უფალი ბრძანებს: „ითხოვეთ და მოგეცემათ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოს თქვენ“.

მაშ, ეძიეთ უფალში თქვენი ბედნიერება და მიაგნებთ მას.

ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახი და მშვიდობითა და სიხარულით აღგავსოთ!

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა




## 1951 WLIS AGVISTO

○ `MTVRALI MIMTANI~ _ AM SATAURIT REDAQCIAM WERILI MIIRO, ROMELIC EXEBODA RESTORANSI MOMUSAVE V. GABASVILIS CUD MOMSAXUREBAS STUMREBISADMI. GVWEREN, ROM MIMTANI SAMUSAO SAATEBSI MTVRALI IYO DA MOMSAXUREBAS VER UWEVDA KLIENTS. KORESPONDENCIA FAQTEBIS SESASWAVLAD DA ZOMEBIS MISAREBAD GAEGZAVNA RAIKOOPKAVSIRIS GAMGEOBAS. ISINI GVATYOBINEBEN, ROM SIMTVRALE AR DADASTURDA, TUMCA MIMTANI SXVA DROSAA SEMCNEULI SIMTVRALESI, RISTVISAC MASIN MAS DAEDVA ADMINISTRACIULI SASJELI.

○ JAFARIZELEBI REDAQCIAS SWEREN, ROM MATI SOFELI RAIONSI ERTERTI MOWINAVEA, MAGRAM WYLISA DA ELEQTROSINATLIS SAQME MOUGVAREBELIA. SOFELSI 2 WYAROA. ERTI AXLOS, MEORE MOSOREBIT. SOFLIS AXLOS `CICAS~ WYALI ZAFXULSI DAGVISRA, MOSAXLEOBAS 2-3 SAATIT UXDEBA RIGSI DGOMA. ASETIVE MDGOMAREOBAA ELEQTROSINATLIS MXRIVAC.

○ ZEMO MACXAANIS SKOLAM GULMODGINET CAATARA SENOBIS REMONTI. YVELA SASKOLO OTAXI SEREBILIA, GANVAAXLET 214 MERXI, 26 MAGIDA DA 20 DAFA. MALE DAMTAVRDEBA FIZKULTURIS DARBAZIS REMONTI. GASUL WELS SKOLAS BEVRI MNISVNELOVANI NAKLI HQONDA, RAC NAWILOBRIV GAMOSWOREBULIA.

○ QVEMO QEDIS CXUBIANISVILIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS KOMKAVSIRIS ORGANIZACIAS AQVS SAKUTARI ORGANO - KEDLIS GAZETI, GASUL WLEBSI SAMAGALITOD MUSAOBDA, MAGRAM WELS CAMORCA. KOMKAVSIRI MOWINAVE AXALGAZRDEBISGAN SEDGEBA, WEVREBI AQTIURAD MONAWILEOBEN SAKOLMEURNEO WARMOEBIS SAQMESI DA ZAFXULSI MOSAVLIS AREBIS KAMPANIASI. MATI KEDLIS GAZETI RATOMRAC SDUMS. OTX TVEZE METIA, GAZETI AR GAMOSULA DA GAMOUMZEUREBELI RCEBA MATI GAMOCDILEBANI DA SXVA.

○ GASUL WLEBSI RAIONIS KULTMARAZIA VER AKMAYOFILEBDA MOMXMAREBLIS MOTXOVNAS DA VAWROBIS GEGMIS SESRULEBASAC-CA MORCEBODA. AXLA MARAZIAS ENERGIULI MUSAKI ELENE FAVLENISVILI XELMZRVANELOBS, MAN SATANADO SIMARLEZE DAAYENA MARAZIIS MUSAOBA. AMX. FAVLENISVILI YOVELTVIS GULISXMIERAD EQCEVA MOMXMAREBELS, SANI MUSOD AQVS GANLAGEBULI TAROZE WIGNEBI DARGEBIS MIXEDVIT. MARAZIASI YOVELTVIS SISUFTAVEA DACULI.

○ SOFELSI SASUALO SKOLIS DAARSEBASTAN DAKAVSIREBIT, QVEMO QEDIS CXUBIANISVILIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM, SAKLASO OTAXEBISTVIS SKOLAS DAUTMO SAMI OTAXI, ROMLIS REMONTSAC AM DREEBSI DAAMTAVREBEN DA SEQTEMBRISTVIS MOAMZADEBEN.

## 1961 WLIS AGVISTO

○ ARBOSIKIS SASOFLO SABWOS SENOBIS UKAN EZOSI GACXOVELEBULI SROMAA GACAREBULI. SENDEBA SABAVSVO BARIS ORSARTULIANI SENOBA, ROMELIC MTLIANAD DAAKMAYOFILEBS TANAMEDROVE MOTXOVNEBS. MSENEBLOBIS XELMZRVANELEBS SENOBIS EQSPLOATACIASI GADACEMA GANSAZRVRULI AQVT WLIS BOLOS. WELIWADIA ARBOSIKSI SABAVSVO BARI DAARSDA, AQ GAERTIANEBULIA MUSA-MOSAMSAXURETA 32 BAVSVI. BINIS MXRIV ISINI SIVIWROVES GANICDIAN.

○ QVEMO QEDIS KOLMEURNEOBAM SASOFLO SABWOS ARMASKOMS GAMOUYO OTAXEBI DA ARMASKOMIS SENOBA GADASCA SOFLIS ATSAWOLIAN SAAVADMYOFOS, ROMELIC AM WELSI UNDA GAIXSNAS.

○ KETILMOWYOBILI ABANO GAIXSNA ARXILOSKALOSI, YOVELDRIURAD UMJOBESDEBA MSROMELTA SAYOFACXOVREBO PIROBEBI. EQSPLOATACIASI SEVIDA ABANO, ROMELSAC AQVS NOMREBI DA QALTA DA KACTA GANYOFILEBEBI.

○ JAFARIZIS MEKAMECEOBIS FERMIS MWVELAVEBMA RZIS WARMOEBIS WLIURI GEGMA GADAWARBEBIT SEASRULES DA AXALI ZALEBIT IBRZVIAN MSOBLIURI KOMUNISTURI PARTIIS YRILOBIS RIRSEULAD SEXVEDRISTVIS. JAFARIZELI MEKAMECEEBI YOCIASVILIS XELMZRVANELOBIT GULMODGINED SWAVLOBEN PARTIIS PROGRAMIS PROEQTS DA PARTIIS BRZNUL WINASWAR DASAXULOBAZE AMBOBEN, ROM KARGIA DA SAPASUXOD SROMAS AORKECEBEN, ROM MALE MIUAXLOVDNEN KOMUNIZMIS KARIBWES.

○ WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM SKOLAINTERNATTAN AXLOS GAXSNA AXALI KETILMOWYOBILI SASADILO, ROMELSAC UAMRAVI STUMARI HYAVDA. KOOPERATIVI AM DREEBSI AGRETVE GAXSNIS -SAZKVEBIS AXAL OBIEQTS RUSTAVELIS QUCAZE.

○ QVEMO QEDIS KOLMEURNEOBASI DIZELIS SAWVAVIS MWVAVE NAKLEBOBAS GANVICDIT. ARADA MINDVRAD GACXAREBULI SAMUSAOEBI MIDIS. SAWIROA SESABAMISMA ORGANOEBMA MOKLE VADASI ARMOFXVRAN NAKLI, SEMOZIDON IM RAODENOBIS SAWVAV-SACXEBI MASALEBI, RAC DAAKMAYOFILEBS KOLMEURNEEBIS MOTXOVNILEBAS.

○ WITELWYAROS SAYOFACXOVREBO MOMSAXUREOBIS SAXELOSNOEBSI DA ATELIEEBSI MOIWVIES MAMAKACTA TANSACMLIS MKERAVI V. MARDELISVILI. SAAMQRO TAVISIVE MATERIIT MIIREBS MOSAXLEOBIS SEKVETEBS ROGORC MAMAKACIS, ISE QALIS ZEDA TANSACMELZE.

## 1969 WLIS AGVISTO

○ QEDIS MANQANA-MECXOVELEOBIS SADGURIS AVTOMANQANA `GAZ 51~ GAIGZAVNA `CINARIS~ WYALZE, ROMELSAC MARTAVDA GODERZI SARIRASVILI. MAS QVA UNDA GADMOEZIDA QEDIS RVINIS QARXNIS MSENEBLOBAZE. UKAN DABRUNEBISAS MZROLMA DATVIRTUL ZARAZE DASVA MOQALAQEEBI KOBAIZE DA AFCIAURI. MANQANIS KABINASI KI S. BUTXUZI MOTAVSDA. ARMARTZE ASVLISAS MANQANA -GADABRUNDA DA KOBAIZE GADMOYRILI QVEBIS QVES ARMOCNDA. MZROLMA DAARRVIA QUCEBSA DA GZEBZE MOZRAOBIS WESEBI GAMOICINA ASKARA UYURADREBOBA. DATVIRTUL ZARAZE MOQALAQIS DASMIS UFLEBA AR HQONDA. DANARCENEBMA SXEULIS MZIME DA MSUBUQI DAZIANEBEBI MIIRES. DAMNASAVE SAMARTALSI IQNA MICEMULI, WITELWYAROS SASAMARTLOS MOSAMARTLE SEFIASVILMA DAMNASAVEDCNO DA RVA WLIT PATIMROBA MIUSAJA. SARIRASVILMA TAVI DAMNASAVED MIICNIA.

○ MIMDINARE SEZONSI ARXILOSKALOS UROLOGIURI KURORTI GADAKETDA BAVSVTA NEFRIDUL SANATORIUMAD. AQ MKURNALOBEN SIRAQIS VELISGAN AREKLILI ULTRAIISFERI SXIVEBIT. DA POLIKLINIKURI SASUALEBEBIT. GASUL WLEBSI QVEYNIS SXVADASXVA QALAQEBIDAN CAMOSULI PACIENTEBIC MKURNALOBDNEN.



○ SURATZE XEDAVT WITELWYAROS KIRIS QARXANAS. MISI PRODUQCIA KARGAD ARIS CNOBILI ARA MXOLOD CVENS RAIONSI, ARAMED QVEYNIS MASSTABIT. MISI NAWARMI ZALIAN MOTXOVNADIA.

## 1979 WLIS AGVISTO

○ SOCIALISTURI SEJIBREBIS RESPUBLIKURMA KOMISIAM WITELWYAROSA DA GARDABANS SORIS GAMARJVEBULI VER -GAMOAVLINA, RADGAN ORIVEGAN GEGMIS SESRULEBIS MXRIV RARAC NAKLOVANEBEBI IYO. AMASTAN WITELWYAROSI GAUARESDA SAZOGADOEBRIVI WESRIGIS DACVIS SAQME, GANSAKUTREBIT MOSAVLIS AREBIS PERIODSI. AMASTAN DIDI ODENOBIT DOVLATIS DATACEBA MOXDA ZEMO MACXAANSI. MZROLMA S. BOSTORANASVILMA MOIPARA 1 335 KG XORBALI, ROGORC XELMRUDE MZROLMA ARIARA, QURDOBA OR KVIRAS GRZELDEBODA. TOMREBSI YRIDA DA QARSAFARSI MALAVDA, SARAMOS KI SIN MIHQONDA. DAMNASAVE DAAKAVES DA QONEBA DAABRUNA, MAGRAM VIN ICIS KIDEV RAMDENMA XELMRUDEM ISARGEBLA XALXIS QONEBIT. SASAMARTLOM MAS 2 WLITA DA 6 TVIT PATIMROBA MIUSAJA



○ JAFARIZELEBMA SOFLIS KULTSAXLIS SENOBASI SEXVEDRA MOUWYES CNOBIL MWERALS DA SAZOGADO MORVAWES, JURNAL `DROSIS~ MTAVAR REDAQTORS GIORGI NATROSVILS. SEXVEDRAZE JAFARIZIS SKOLIS MEEQVSEKLASELMA MARINA WIKLAURMA ZEPIRAD SESANISNAVAD WAIKITXA MWERLIS MOTXROBA.

(სტილი დაცულია)
მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა

# სერაფიმე საროველის ხსენების დღე

1 აგვისტოს, წმიდა სერაფიმე საროველის ხსენების დღეს, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) სოფელ სამრეკლოს წმიდა სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა. მეუფე დიმიტრისთან ერთად წირვა აღავლინა წალკის ეპისკოპოსმა გრიგოლმა, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის დედოფლისწყაროს სტუმრობდა.



მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

## ბესიკ კოჭლამაზაშვილი



ჩვენო ძვირფასო შვილო, მამავ, მეუღლევ, პაპავ და ყველასთვის საყვარელო ადამიანო, 40 დღეა, რაც ჩვენგან წახვედი და მარადიულ სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი. დაგვიტოვე დიდი ტკივილი, სევდა და ნაღველი. ულმობელმა სენმა დაგრია ხელი და ნაადრევად, 59 წლის ასაკში, შეწყვიტა შენი ბედნიერი და აქტიური ამქვეყნიური ცხოვრება.

21 ოქტომბერს 60 წლის იუბილის გრანდიოზული აღნიშვნისთვის ვემზადებოდით, მაგრამ სიხარული ტკივილით შეგვიცვალე. ძალიან გწყუროდა სიცოცხლე, 3 კვირა ებრძოდი ვერაგ სენს. უკანასკნელ დღეებშიც კი შენს საყვარელ შვილიშვილს – გაბრიელს უმღეროდი, არ ჰკარგავდი გამოჯანმრთელების იმედს და ჩვენც გვაიმედებდი, ნუ გეშინიათ, არ დავეცემიო, მაგრამ სიკვდილმა დაგამარცხა.

კიდევ უფრო გააუბედურე შენი ძმის სიკვდილით დამწუხრებული მშობლები, სამუდამოდ დაიდო ბინა სევდამ შენი მეუღლის, შვილების და ყველა ახლობლის გულებში. უფალს ვთხოვთ, მოგიტევოს ყველა შეცოდებანი და დაგიმკვიდროს სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი.

## გ ა ს წ ო რ ე ბ ა

გაზეთ „შირაქის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა განცხადება აუქციონის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით. სამწუხაროდ, ტექნიკური ხარვეზის გამო გაზეთის მეორე გვერდზე გამოქვეყნდა ძველი განცხადება, რომელში მოყვანილი ქონებაც უკვე გაყიდულია. ამ ლაფსუსის გამო რედაქცია იხდის ბოდიშს.

---

უახლოესი მეზობლები: თამაზ ლაპიაშვილი, ლია პოპიაშვილი, თადო გონაშვილი, ოთარ კიკნაძე, გოდერძი აბულაშვილი, გურამ ნატროშვილი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

მალხაზ ბერიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გოგი, მარინა, დავით და ლევან ბერიძეებს- შვილის, მეუღლის, ძმისა და მამის გარდაცვალების გამო.

---

დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის 1979-1980 სასწავლო წლის Xბ კლასის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ელენე ჭუაძე თანაგრძნობას უცხადებენ მაია მაისურაძეს დის

ითამზე (ია) მაისურაძის

გარდაცვალების გამო.

---

დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის 1979-1980 სასწავლო წლის Xბ კლასის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ელენე ჭუაძე თანაგრძნობას უცხადებენ

ნანა (ნანული) მაჩაბლიშვილის

ოჯახს მისი გარდაცვალების გამო.

---

ნანი, შოთა, ვაჟა, თამარ, შოთიკო, მანანა და მარინა მარტყოფლიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ციცინო და ბეჟან მაჩაბლიშვილებს

ნანა მაჩაბლიშვილ-ხაჭაპურიძის

გარდაცვალების გამო.

---

დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის 1979-1980 სასწავლო წლის Xბ კლასის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ელენე ჭუაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ლაპიაშვილს ძმის

თამაზ ლაპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ზაური, ანზორი, თენგიზი და ილია მარტყოფლიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ციცინო მაჩაბლიშვილს შვილის

ნანა მაჩაბლიშვილ-ხაჭაპურიძის

გარდაცვალების გამო.

---

სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1961–62 წლების კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ცეზარ ბიკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

დაიკრძალა 3 აგვისტოს მარნეულში.

---

თარიმან მენთეშაშვილის და ჟუჟუნა გორაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს დედას – ციცინო გონაშვილს, ძმას ბეჟან მაჩაბლიშვილს, მეუღლეს – პაატა ხაჭაპურიძეს და შვილებს

ნანა მაჩაბლიშვილ-ხაჭაპურიძის

გარდაცვალების გამო.

# „ელიაობა“ და „დედოფლისწყაროობა“

## ერი და ბერი ერთად

2 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საეკლესიო და სახალხო დღესასწაული – ელიაობა და „დედოფლისწყაროობა“ ერთად აღინიშნა. დილით, წმ. ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) აღავლინა წირვა-ლოცვა, რომელსაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მრევლთან ერთად დაესწრო. წირვის დასრულების შემდეგ, ელიის ძირას ქართულ ჭიდაობაში ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა. ტურნირი უკვე მერამდენე წელია ტრადიციად იქცა.

საღამოს, დედოფლისწყაროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა, სადაც გამოვლინდნენ დედოფლისწყაროს წარმატებული და საპატიო მოქალაქეები.

წარმატებული დედოფლისწყაროელის წოდება მიენიჭა და სიგელები გადაეცა 14 მოქალაქეს. მაშ, ასე, წარმატებული დედოფლისწყაროელების ტიტული მიენიჭათ: **მარიამ გამდლიშვილს, ნოდარ შაინიძეს, გოდერძი გონაშვილს, ნაზი წიკლაურს, ნაირა ნატროშვილს, თამაზ ფიროსმანაშვილს, ნინო ბეგიაშვილს, ლენა ჩუთლაშვილს, ამირან სეფიაშვილს, შაქრო მახარაძეს, ლილი კობაიძეს, თამარ დავითურს, ჯუმბერ უთრუთაშვილს, ლაშა ბექაურს.**

წარმატებული დედოფლისწყაროელის წოდება მიენიჭა აგრეთვე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2017 წლის 17 წარჩინებულ მედალოსან კურსდამთავრებულს: **ალექსანდრე ჯანიაშვილს, გიორგი ვარდიშვილს, თინათინ ბაკაშვილს, გოდერძი სიმონიძეს, დავით ბოსტოღანაშვილს, თამარ ალადაშვილს, ვალერი ბატიაშვილს, თამარ ჭილიტაშვილს, ნინო ბოლოთაშვილს, სალომე ალადაშვილს, ფატი ნატროშვილს, გურანდა გუდაშვილს, დიანა ბუქურს, მარიამ ღუდუშაურს, სალომე ჭინჭარაულს, ქეთევან ხუციშვილს, თამარ კაიშაურს.**

დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდების მფლობელები წელს გახდნენ: დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი; ცნობილი პედიატრი, ბავშვების ჯანმრთელობაზე მზრუნველი უანგარო პიროვნება – დიმიტრი ტოკლიკიშვილი; სპორტის დიდი გულშემატკივარი, ქველმოქმედი – დავით ბონაშვილი; ცნობილი მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოსა და სამბოში – კახა წიკლაური; ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი – ლინა ხარაშვილი. გალა კონცერტს ესწრებოდა როგორც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელმძღვანელობა, ასევე სახელმწიფო რწმუნებული – კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, რეგიონის სხვა ხელმძღვანელი პირები, საპატიო დედოფლისწყაროელი გოჩა ტყეშელაშვილი, მოწვეული სტუმრები, სასულიერო ფენის წარმომადგენლები და ადგილობრივი ხელისუფლება.

დედოფლისწყაროელებსა და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, პარლამენტის წევრმა ირაკლი შიოლაშვილმა, კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა. მათ ელიაობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს დამსწრე საზოგადოებას და იმ მიღწევებზეც ისაუბრეს, რაც ამ რამდენიმე წელში ჩვენმა რაიონმა განიცადა. მათ აღნიშნეს, რომ ახლანდელი ხელისუფლების მიზანი სწორედ ხალხის კეთილდღეობაა და ამისთვის ისინი ერთად ძალისხმევას არ დაიშურებენ.

გალა-კონცერტი მიჰყავდა თამუნა გომართელს, დედოფლისწყაროელებისთვის იმღერეს ჯგუფმა „ბანმა“ და მომღერალმა მარიტა როხვაძემ. საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა, თუმცა, ახალგაზრდებს, რომელთაც სითამამე მხოლოდ კონცერტის დასასრულს გამოიჩინეს, ჯგუფ „ბანთან“ ერთად ქართულ ხალხურ მოტივებზე აცეკვებულებს სცენა აღარ ეთმობოდათ... ემოციურად დატვირთული დღე სასიამოვნოდ დასრულდა, სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს ერთი წლით - მომავალ „ელიაობამდე“ დაემშვიდობნენ.











## ი ყ ი დ ე ბ ა !

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯში იყიდება სახლი ბელეტაჟზე, 3 ოთახიანი, სუფთა მდგომარეობაში, ავეჯით, ბუნებრივი აირით, სარდაფით, დიდი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით - ფართი 3,333 კვ.მ. ნაკვეთზე, გარდა სახლისა, განლაგებულია საზაფხულო სამზარეულო, აბანო და საქათმე. სახლთან არის ჭა, რომელიც ზაფხულში არ შრება.

ასევე იყიდება სახნავ-სათესი ნაკვეთი შირაქში, ფართი 1 ჰექტარი.

ორივე ნაკვეთი გატარებულია რეესტრში, საკადასტრო კოდები 52.06.37.039 და 52.21.31.018.

სახლის და საკარმიდამო ნაკვეთის ფასი - 20,000 ლარი.

სახნავ-სათესი ნაკვეთის (1ჰა) ფასი - 1000 ლარი

☎ 599 551097 თინა ან 599 568567 ქეთინო.

იყიდება ოროთახნახევრიანი კუთხის ბინა მეხუთე სართულზე. აქვს ორი აივანი, სარდაფი, ავტოფარეხი წინ შემოღობილი გადახურული ადგილით, სალორე, საქათმე ეზოთი.

მისამართი: დედოფლისწყარო, თბილისის ქ.N21 (ბამის კორპუსი),

591 93 71 64.

იყიდება ერთოთახიანი სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რკინის კარით, ცივი და ცხელი წყლით, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი. ბინას აქვს ავტოფარეხი. გაყიდვის შემთხვევაში ბინაში რჩება გარკვეული ავეჯი. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: **რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 17.** ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის“ მოპირდაპირედ.

☎ 591 80-35-13


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 07.08 | | სამშაბათი 08.08 | | ოთხშაბათი 09.08 | | ხუთშაბათი 10.08 | | პარასკევი 11.08 | | შაბათი 12.08 | | კვირა 13.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 29 ° | 27 ° | 30 ° | 28 ° | 30 ° | 28 ° | 31 ° | 28 ° | 28 ° | 24 ° | 24 ° | 23 ° | 24 ° | 23 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია:
ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.